გაფორმებიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება დანართი N3–ში მითითებული ვადების შესაბამისად.

9.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში ჩაატაროს არსებული ხარვეზის/დაზიანების აღმოსაფხვრელად საჭირო მოსამზადებელი სამუშაო. ამ ვადის გასვლის შემდეგ „მიმწოდებელი“ ვალდებულია 3 კალენდარულ დღეში უზრუნველყოს გათბობის სისტემის და/ან მისი ნაწილის აღდგენა/შეკეთება/გამოცვლა, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში 7 კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს დაზიანებული/დეფექტის მქონე საგნის (ჩატარებული სარემონტო სამუშაო) აღდგენა/შეკეთება/გამოცვლა, საკუთარო სახსრებით.

9.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დეფექტი მიყენებულია „მიმწოდებლისაგან“ დამოუკიდებელი მიზეზების, არასწორი ექსპლუატაციისა და მექანიკურად დაზიანების გამო.

9.4. თუ საგარანტიო ვადის ათვლიდან შესყიდვის ობიექტის ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში შესყიდვის ობიექტის ცალკეული სისტემა ან ცალკეული დეტალი სისტემატურად ზიანდება, გამოდის მწყობრიდანან ან შეუძლებელი ხდება მისი შემდგომი ექსპლუატაცია, იგულისხმება, რომ იგი უხარისხოა. ასეთ შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით შეცვალოს დეტალი ან მოწყობილობა

9.5. „შემსყიდველის“ მიერ, შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის მომენტიდან გამოვლენილი დეფექტის გამომწვევი მიზეზების დადგენასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ჩატარდეს დამოუკიდებელი ექსპერტიზა.

9.6. „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებისას, „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ საგარანტიო ფურცელი, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ მუხლით გათვალისწინებულ და მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე არსებითად დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ან დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

10.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

10.4. ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

10.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (მათ შორის არაჯეროვნად შესრულებისათვის) ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ (კალენდარულ) დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

10.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.7. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა მიერ წერილობითი ფორმით.

12.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.